

ემპათიისა და სხვისი პერსპექტივის გაზიარების უნარები

მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებში

მარიამ მარტიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების
ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ მარტიაშვილი

თარიღი: 26.06.2017

აბსტრაქტი

ნაშრომის საკვლევ საკითხს წარმოადგენს დავინახოთ არსებობს თუ არა განსხვავება მშობელთა მზრუნველობამოკლებულ და საზოგადოების სხვა წევრ ბავშვებს შორის, ემპათიის და სხვისი პერსპექტივის გაზიარების უნარის მაჩვენებლებში.

ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში, მოკლედ არის განხილული ემპათიის გრძნობისა და სხვისი პერსპექტივის გაზიარების უნარის განვითარება ბავშვებში. ასევე ცალკე თავშია წარმოდგენილი აღნიშნული ორი უნარის განვითარება მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან მიმართებაში.

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდი - თვითანგარიშის კითხვარით განსაზღვრულია ინტერპერსონალური რეაქტიულობის ინდექსი. გამოკითხულია 130 ბავშვი, აქედან ძირითად ჯგუფში 50, ხოლო საკონტროლო ჯგუფში 80 ბავშვი, ასაკი განსაზღვრულია 13-დან 18 წლამდე. შერჩევის მეთოდი არის არაალბათური, მიზნობრივი შერჩევა. კვლევამ მოიცვა ქ. თბილისის ყველა მცირე საოჯახო ტიპის სახლი, სადაც მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვები ირიცხებიან.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებში ემპათიის და სხვისი პერსპექტივის აღქმის უნარის მაჩვენებელი მეტად დაბალია, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში. ასევე, გამოვლინდა სხვისი პერსპექტივის გაზიარების უნარის კორელაცია ასაკთან მიმართებაში.

კვლევის შედეგები აქტუალურია მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებისთვის. შედეგებმა გამოკვეთა კონკრეტულ საჭიროებები და იძლევა საფუძველს დაიგეგმოს ინტერვენცია მათ დასაძლევად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვი, ემპათია, სხვისი პერსპექტივის გაზიარება.

Abstract

The subject of research of this work is to see the existence of difference between looked after children and other member of the society of children in terms of empathy and perspective taking.

In overview of literature it is shortly reviewed skills development in children such as feeling empathy and perspective taking. Also these two skills development is presented in separate paragraph in the context of looked after children.

In the work there is used quantitative methods – by self-account questionnaire it is defined interpersonal reactivity index. 130 children are questioned, from there 50 children are from the main group and 80 children are from control group. The age of these children is between 13 to 18. Selection method is not probable selection, it is targeted selection. The research includes every small family type house from Tbilisi where looked after children are living.

The result of the research shows that the feeling of empathy and interpersonal reactivity index is very low in looked after children than in the children from control group. Also revealed perspective taking skill correlation with age.

The results of research is very actual for specialists who works with looked after children. By the results it is clear concrete needs and gives the ground to plan an intervention to overcome them.

Key Words: Looked After Children, Children in Care, Empathy, Perspective Taking

მადლობა

ქეთევან მაყაშვილს, ხელმძღვანელობისათვის და მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, კვლევის ჩატარების ნებართვის გაცემისთვის.

ქ. თბილისის N102-ე, N123-ე, N55-ე სკოლის ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს კვლევის ჩატარების ნებართვის გაცემისთვის.

მცირე საოჯახო ტიპის სახლების ხელმძღვანელებსა და ლიდერებს, სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს, კვლევის ჩატარების ორგანიზებაში დახმარებისთვის.

კვლევაში მონაწილე ბავშვებს იმისათვის, რომ ჩაერთვნენ კვლევაში და დამეხმარნენ სათანადო მასალის შეგროვებაში.